№ 55 მარტი 14, სამშაბათი 1889 მარტი 14, სამშაბათი № 55

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისი, 13 მარტი

ერთი მეტად ხელის შემშლელი მიზეზი და გარემოება ბათომის წარმატებისა იგია, რომ დღეს აქამომდე გამორკვეული არ არის მიწათ-მფლობელობის საქმე ამ დიდის მერმისის მომლოდინე ქალაქისა, რომელსაც ასეთი კარგი ადგილ-მდებარეობა აქვს შავის ზღვის პირას და რომელმაც, ნავთის ზიდვის გამო საზღვარ გარედ, დიდი აღებ-მიცემობა აღძრა და დიდი სავაჭრო საქმიანობა. მართალია, ეს ქალაქი დღითი დღე მატულობს, კეთდება და შენდება, მაგრამ უფრო ძლიერ გაიწევდა, რომ უფლება მიწათ საკუთრებისა განსაზღვრული იყოს და რაიმე მტკიცედ დადგენილს წესს ემორჩილებოდეს. საქმე ის არის, რომ დღეს აქამომდე არ გამოურკვევიათ — რა საბუთებით და სიგელებით შესაძლოა კაცმა დაიმტკიცოს იგი საკუთრება, რომელიცა ჰქონია მაშინ, როცა ბათომი ოსმალოს მთავრობის ხელში ყოფილა.

ამ გამოურკვევლობის გამო დღეს მრავალი დავიდარაბა აქვთ ატეხილი ბათომელებს სასამართლოებში და თვითონ სასამართლოებმაც არ იციან-რა წესი და კანონები გაიძღვარონ საქმეების გადასაწყვეტად, რა საბუთები და სიგელები მიიღონ მხედველობაში საქმეთა გარჩევის დროს. ამისთანა მდგომარეობა ძალიან აჯანჯლებს საქმეებს, მამულის პატრონებს გულს უტეხს და ჰხუთავს მით, რომ თავის სურვილისამებრ მამული პატრონს ვეღარ მოუხმარეხებია და არც გული დაჯერებული აქვს, რომ მისი უფლება მამულზედ ხელ-შეუხებელია და შეურყეველი.

ესეთი ყოფა თავს დაატყდა ბათომს იმის გამო, რომ იგი 13 კათათვემდე 1878 წ. სხვა კანონებსა და სხვა წესებს ემორჩილებოდა, რადგანაც ამ დღემდე ოსმალოს ხელში იყო და მხოლოდ ამ დღიდგან დაეკუთნა რუსეთსა ბერლინის ხელ-შეკრულობის ძალითა. რუსეთის მთავრობამ ჩაიბარა ბათომი 25 აგვისტოს 1878 წელსა და თითქმის იმავ დღესვე საქმე მიწათ საკუთრების განსაზღვრისა წინ წარმოუდგა მთელის თავის აწეწილობითა და გამოურკვევლობით. მთავრობამ მაშინვე მიაქცია ამ გარემოებას თავისი ყურადღება, რადგანაც კარგად იცოდა-რა დიდი მნიშვნელობა აქვს მკვიდრთათვის საკუთრების განსაზღვრასა და გამორკვევას.

1879 წელს მთავრობამ დააწესა „ბათომის საადგილ-მამულო კომისია“ და დაავალა გადაესინჯა და შეემოწმებინა ოსმალოს მთავრობის დროს ვის რა მამულები ეჭირა, რა სიგელების ძალითა და რა საბუთებითა. ის დღეა და ეს დღე, გაიმართა ყოველ ამის გამო მიწერ-მოწერა და დღეს აქამომდე არ გათავებულა. რაც უფრო ბევრი ხანი გადის, მით უფრო ჰმატულობს დავიდარაბა მამულების თაობაზედ და ამასობაში თვითონ საქმესაც ჩაერთვა ბევრი იმისთანა სხვა-და-სხვა გვარი გარემოება, რომელმაც უფრო გაუძნელა მთავრობას ერთის საერთოს წესისა და რიგის ჩამოგდება.

ესეთი ყოფა, რომლის გამოც პატრონს რწმუნება არა აქვს თავის უფლების შეურყევლობისა, ყველგან შემხუთველია მისი, რასაც ეკონომიური წარმატება ჰქვიან, და ბათომისათვის ხომ განსაკუთრებით საზიანოა, იმიტომ-რომ ბათომი ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ქალაქს წარმოგვიდგენს იმ მხრით, რომ დიდ-ძალს ხალხს იზიდავს. მას აქედ, რაც რკინის გზამ შეაერთა ბათომი და ბაქო და ბაქოს ნავთმა ასეთი ძლიერი აღებ-მიცემობა გამოიწვია შავის ზღვის პირას, აუარებელი წარმომადგენელი მოაწყდა ბათომს სხვა-და-სხვა ფირმებისა. ამ ფირმებს საადებ-მიცემოდ და სავაჭროდ დიდ-ძალი შენობები უჭირთ ცალკე საქონლის საწყობად, ცალკე ქარხნებისათვის.

გამოურკვევლობა საკუთრებისა ამ მხრით ძალიან ხელს უშლის ქალაქის წარმატებას და აღებ-მიცემობის უფრო ძლიერ გაჩაღებას, რადგანაც შენობები დიდ-ძალს ფულს თხოულობენ და მსურველნი და მოწადინენი ვერა ჰბედვენ ან იყიდონ, ან იჯარით აიღონ შენობისათვის მამულები, რომელთ კუთვნილება კანონის მიერ ჯერ აღიარებული არ არის. ამ სახით თვითონ მამულის პატრონებიც ზარალობენ და თვით ქალაქის აღებ-მიცემობის წარმატებაც ბრკოლდება. იმას აღარ ვიტყვით, რომ იქ, სადაც კაცი თავის მამულის კუთვნილებაზედ გულ-დაჯერებული და დაიმედებული არ არის, ყოველი გზა წარმატებისა და კეთილდღეობისა შეკრული აქვს: იქ კაცი ვერც თვითონ ხეირობს და ვერც სხვას ახეირებს. გარდა იმისა, რომ კერძო კაცთა არ იციან რის პატრონები არიან ბათომში, თვითონ ქალაქმაც არ იცის რა ეკუთვნის და საიდამ რის გამორჩენა შეუძლიან. დღეს აქამომდე ეს საქმე ესეა დარჩენილი და ბათომელები, როგორც ცალკე კაცნი, ისეც ქალაქის გამგეობა, მოუთმენლად ელიან ამ საქმის ასე თუ ისე დაბოლოვებას.

რა გზას ადგია დღეს ეს საქმე და რა მიზეზები აბრკოლებს, ამას შემდეგ მოვიხსენიებთ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო.

## ახალი ამბავი

⁂ ამას წინად ჩვენ შევატყობინე თმკითხველებს, რომ პროფესორი დ. ი. ჩუბინაშვილი მძიმედ ავად არისო. ეხლა შეგვიძლიან ნამდვილად ვაცნობოთ, რომ ამ ჟამად პატივცემული მოხუცი კარგად არის და შიში არაფრისაა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ პროფ. დ. ჩუბინაშვილს დაუბეჭდია პეტერბურგში მეორე ნაწილი თავისის ახალის ქართულ-რუსულის ლექსიკონისა. ეს მეორე ნაწილი ლექსიკონისა ამ დღეებში ტფილისშიაც მოვა გასასყიდად.

⁂ მხატვარს ბ-ნს ზიჩის, რომელმაც დახატა სურათები „ვეფხის-ტყაოსნისათვის“, განუზრახავს ამ სურათების დედნები საჩუქრად უძღვნას ჩვენს «წერა-კითხვის საზოგადოებას».

⁂ ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოვა პეტერბურგში ბ-ნ თხორჟევსკის მიერ რუსულად ნათარგმნი ქართული ლექსები. წიგნი თითქმის სრულიად დაბეჭდილია და ძალიან იაფადაც ეღირება.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ოთხშაბათს, 15 მარტს, ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და თბილისის პოლიცმეისტერი დასინჯავენ ათსავე ნაწილს პოლიციისას და პოლიციაში მოსამსახურეების ტანისამოსსა და იარაღს.

⁂ შაბათს ბანკის თეატრში დანიშნული იყო სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. უნდა წარმოედგინათ ლერმონტოვის მასკარადი, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო საღამო არ შესდგა.

კვირა საღამოს-კი იმავ თეატრში კონცერტი გაჰმართა ბ-ნ ელ. ალნიაშვილის ქართულმა ხორომ. კონცერტზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. უფრო დაწვრილებით ამ კონცერტის ამბავს შემდეგს ნუმერში ვაცნობებთ მკითხველებს.

⁂ ამ თთვის პირველს მეორე სესხის ერთი მოგება ერთს ტფილისელს ახალგაზდა კაცს ჰხვდა წილად, სახელდობრ გ. ს. აჯიამუდიანცს, რომელიც ჩითახოვის კანტორაში მსახურობს. ამ ყმაწვილს მოუგია ოცდა-ხუთი ათასი მანეთი.

⁂ ტფილისის მაზრაში, სოფელში, გარდაცვლილა სომხის მწერალი პ. შანშიევი, რომელიც თავის დროს კარგად ცნობილი იყო სომხობაში. განსვენებული უკანასკნელს ხანებს დიდს სიღარიბეში იმყოფებოდა.

⁂ 10 მარტს სომხის ბაზარში, მაჩქალოვის მაღაზიის პირდაპირ, თოფ-

## ფელეტონი

### ქართული მწერლობა

(ჩვენი მტერ-მოყვარენი)

გეხსომებათ, მკითხველო, როგორი მიმართულება დასჩემდა ქართულს მწერლობას ამ ათი-თხუთმეტის წლის წინათ. მაშინ ქართველს საზოგადოებას ჰქონდა ერთი გაზეთი და ორიც ქურნალი მე სათვალავში არ ვაგდებ „ცისკარს“, რადგან იმ დროისთვის „ცისკარმა“ უკვე მოსჭამა თავისი სიყმაწვილე და ყველასაგან დავიწყებული და თავ-განებებული იყო. «დროება», „მნათობი“ და „კრებული“ ამზადებდნენ გონების საზრდოს ქართველ მკითხველისთვის, რომელიც მაშინ ძალიან ნაკლებ იყო და არც მაგდენად დაგიდევდა გონებასა და სულის დავი-დარაბას. მაშინ უმეტესი და უკეთესი მკითხველი იყო შეგირდობა. იგი დიდის გულ-მოდგინებით ადევნებდა თვალს ყველაფერს, რასაც-კი დაჰბეჭდავდა „დროება“, „მნათობი“, თუ „კრებული“. ერთი ამისთანა მკითხველი - შეგირდი გახლდით მეც, თქვენი უმორჩილესი მონა. კვირით კვირობამდე ქართველ მოსწავლეთ სალაპარაკო სულ ის იყო, თუ რა დაუწერა ბ-ნმა ნიკოლაძემ ბ-ნს ფურცელაძეს და იმის გამოცნობაში ვატარებდით დროსა, თუ აბა ახლა ბ-ნი ფურცელაძე რა პასუხს გასცემს ბ-ნს ნიკოლაძესაო. შეგირდობა ორად იყო გაყოფილი. ზოგის ლომი იყო ბ-ნი ნიკოლაძე და მასთან შედარებით იმისი მოკამათე ბატკანად იყო მიჩნეული. ზოგის ლომი-კი ბ-ნი ფურცელაძე გახლდათ და ამიტომ იმათ თვალში ბ-ნი ნიკოლაძე ან ბატკანი იყო, ან ცქრიალა მშველი, რომელსაც ძლიერი ლომი ერთის თათის დაკვრით გააქრობდა. ჰექტორისა და ახილესის ბრძოლას ისეთის გულის ძგერით არ შეჰყურებდა საბერძნეთის ერი, როგორითაც ქართველი შეგირდობა უყურებდა პოლემიკას ამ ორის მწერლისას. ამ პოლემიკამ თითქმის სრულებით დაავიწყა ქართველ მკითხველს ისეთი თანამედროვე მწერლები, როგორებიც იყვნენ ბნ-ნი ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი. ძველი მწერლები ხომ სრულებით დავიწყებული გვყვანდნენ, აღარავინ აღარ გვახსოვდა. ყველას პირზე გვეკერა ნიკოლაძე და ფურცელაძე, ფურცელაძე და ნიკოლაძე, იმათი გაუთავებელი კამათობა, იმათი დაუსრულებელი პოლემიკა.

მოგეცათ სიცოცხლე, კარგი იქნებოდა, რომ ამ კამათობის საგანი ყოფილიყო ან რომელიმე პოლიტიკური აზრი, ან საზოგადოებრივი მიმართულება, ან სალიტერატურო საგნები. მაშინ ჩვენი კოჭი სწორეთ ალჩუ იჯდებოდა—გავიგებდით ქვეყნიერობისას რასმე და აზრის საქმეში ერთს ნაბიჯს მაინც გადავდგამდით ყმაწვილობაშივე.

ეს დიდი-ხნის ამბავია და ამიტომ სრულებითაც არა მაქვს სახეში ვუსაყვედურო ვისმეს, რად იღებდი მონაწილეობას იმ პოლემიკაში-მეთქი, თუმცა-კი ის პოლემიკა აშენებული იყო თავიდამ ბოლომდე მხოლოდ შენ-ჩემობაზე.

⁂

ჩვენდა საბედნიეროთ, ქართული მწერლობა მას შემდეგ ძირეულად შეიცვალა. ქართველმა მწერლებმა თავი დაანებეს იმ ხელობას, რომლის მიმდევარს სახეში ჰქონდა სხვების დამცირება და განუსაზღვრელი წადილი, რომ ამ დამცირებაზე აეშენოს თავისი დიდება და სახელი. მწერლებმა შეიგნეს საგანი და დანიშნულება მწერლობისა, ე. ი. ქვეყანა და მისი სამსახური. მე არას ვამბობ იმაზე, თუ ვის რამდენად ესმის ეს საგანი, ვინ როგორის მხნეობითა და ნიჭით ემსახურება ამ აზრს, მხოლოდ ის-კი ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს ჩვენი მწერლობა დიდად მოწადინებულია გააცნოს მკითხველს საზოგადო სატკივარი ჩვენის ქვეყნისა, აჩვენოს მალამო ამ სატკივრებისა, გააგებინოს შეძლების დაგვარად ავ-კარგიანობა უცხო ქვეყნებისა, შეაყვაროს ქართველს საზოგადოებას ყოველივე, რაც-კი მართლა ღირსია სიყვარულისა, და შეაჯავროს ის, რაც ღირსია ზიზღისა და არ არის საკადრისი მართებულის ადამიანისა თუ საზოგადოებისა.

უბედურია ქვეყანა, სადაც მწერლობა დაჰმსგავსებია უნამუსო დიაცს, რომელსაც ბაზარში გამოუტანია თავი გასასყიდად და მარტო ისღა დარჩენია ნუგეშად, რომ ყოველს პატიოსანს ქალს უტეხავს ქვეყანაში სახელს უცნაურის ჭორით და მოულოდნელის ნაცილით. ასეთ ქვეყანაში შეგინებულია ღირსება ადამიანისა, დაცემული და მიწასთან გასწორებულია ზნეობა, პატიოსნება, რიგიანობა. ქართველთა სასიქადულოდ, ჩვენს მწერლებს კარგად ესმით, რომ მწერლობა უნდა იყოს წმინდა ტაძარი და მის საკურთხეველში არ უნდა ჰქონდეს ბინა არც ერთს მზაკვარებს, არც ერთს დაცემულსა და უზნეო განზრახვას. ესმით ეს აზრი და დიდის სიმტკიცითაც გაჰყავთ იგი თავიანთ ნაწერებში, გარდა თითო-ოროლა მახინჯისა, რომელნიც ხსენების ღირსნიც არ არიან. ყოველ სხვა ღირსებას რომ სრულებით მოკლებულნი იყვნენ ქართველი მწერლები, მარტო ასეთი მიმართულებაც საკმარისია დღესა, რომ მწერალმა დაიმსახუროს სახელი და მოიპოვოს ფასი საზოგადოების თვალში. იმიტომ-რომ რაც გინდ ნაკლებად იყოს ჩვენი საზოგადოება განვითარებული და გონება გაწვრთნილი, ის ღირსება მაინცა აქვს, რომ აფასებს მართებულებას და აღარა სწამს-რა მატყუარასი, ბაქიასი და ჭიმიასი, რომელიც იჭიმება, ბაქიაობს და სტყუის მარტო იმ აზრით, რომ აამაღლოს თავისი დანაგლეჯი თავი და გაბეროს თავისი მისხლის ოდენა ჭკუა.

როდესაც ასე ესმის მწერლობას

იარალის სახელოსნოში, შეგირდს სდომებია კონდახის მოხსნა და უეცრად გავარდნია თოფი. ღვთის მადლით, არავინ დაზიანებულა, მხოლოდ შესანიშნავი ის არის, რომ არავისა სცოდნია, თოფი გატენილი იყო, თუ არა.

*** ჩვენ გვაუწყებენ, რომ გუდაურსა და კობ შუა გალერეიდამ დაწყებული ყულამის ზევამდე გზა-ტკეცილზედ გზა გაიხსნა ერთის საურმეს ოდენი და მაიორშიდამ თეთრ წყლამდე-კი გზა ისევ ზედ ზვავზედ მიდის და მიწამდე არ დასულა. იმედი აქვთ გზა გასწმინდონ ზვავისაგან 25 მარტამდე. ტაროსი კარგია, მაგრამ ძალიან დიდი ქარებიაო.

მლეთიდამ გუდაურისაკენ მეორე ვერსტზედ ქვა მორღვეულა, გზას დასცემია და შეუკრავს. ჰფიქრობენ დღეს, 13 მარტსა, ქვა გასჭრან და ზედ ხელდახელ გაიყვანონ ახალი გზა.

*** დიდი ხანია, რაც ერთი ჩვენი თანამემამულე თავ. გიორგი ერისთავი კარგად ცნობილია არამც თუ მარტო თავისს პატარა სამშობლოში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიაც. ამ ბოლო ხანებში თავადმა სახელი გაითქვა ამერიკაშიაც, მაგრამ ვაი ამისთანა სახელს. მთელის ევროპისა და ამერიკის პოლიცია კუდი-კუდს დასდევს ბრწყინვალე თავადს და ლამის იმის შეპყრობას, მაგრამ დაოსტატებულო თავადს რაღაცა ბედი სწყალობს. ეხლაც ბევრსა სწერენ ამ ჩვენს თავადზე. ერთი გაზეთი შემდეგს მოგვითხრობს: «ბერლინში 1881 წელს თავადმა ერისთავმა ვაჭრებს დასტყუა სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთი ხუთი ათასის მანეთის სალირალი. პარიჟში იგივე ჩაიდინა და აქედგან ლონდონში გაიქცა. საფრანგეთის მართებლობამ ინგლისისას მოსთხოვა ერისთავის უკანვე დაბრუნება და რამდენსამე თთვეს ერისთავი საფრანგეთის სატუსაღოში იყო დამწყვდეული, ხოლო რუსეთის მთავრობის მეცადინეობით თავი გაინთავისუფლა. ერისთავმა რამდენჯერმე განიზრახა ცოლის შერთვა, მდიდარს საცოლეს ეძებდა, მაგრამ ქალი არავინ მიათხოვა, რადგანაც კარგად იცოდნენ, ვინც ბრძანდება თავ. ერისთავი.

ამერიკაში, ქალაქ ნიუ-იორკში, ერისთავი საუცხოვოდ კარგად სცხოვრებდა და არისტოკრატებთან ჰქონდა მისვლა-მოსვლა. ბოლოს დროს თავადს ჩვეულებრივი ამბავი შეემთხვა. დეკემბერში იყიდა რვაას მანეთიანი ქურქი. თავადმა ფულის მაგიერ ბარათი მისცა. თავისს დროზე თავადმა ფული არ ჩააბარა ვაჭარს და ამიტომ ვაჭარმა მიჰმართა პოლიციას და სთხოვა ერისთავის შეპყრობა. პოლიცია თავს დაესხა ერისთავს, როცა იგი ქეიფს ეწეოდა სასტუმროში, მაგრამ თავადმა ციხეს თავი დააღწია ერთის მეგობარ ადვოკატის შემწეობით. სადა ჰშოულობს ერისთავი ფულს, არავინ იცის. როცა სადგომი გაუჩხრიკეს, აღმოაჩინეს, რომ თავადს ბევრი თავისი ნივთი დაეგირავებინა, იმათ შორის ის ძვირფასი ქურქიც“.

*** სოფ. **სვირი** (ქუთაისის მაზრა): ამ დიდსა და მდიდარს სოფელში 900 კომლი გლეხობა ითვლება. ამათ გარდა ორი კომლი თავადია: ალ. ნიჟარაძე და დავ. აბაშიძე. ამ თავადთა და გლეხობას შორის დიდის ხნის ქიშპობა და უსიამოვნება ჰსუფევს. ამ ქიშპობამ და უსიამოვნებამ ამ ხანებში თავისი ნაყოფიც მოიტანა. ამ თთვის 9 გლეხები ჯულღლები შესცვივდნენ სადაო ტყეში და ჭრა დაუწყეს. თავ. აბაშიძემ, რომელსაც ამ ტყეს ედავებიან, წინააღმდეგობა გაუწია გლეხებს. გლეხებმა თოფ-იარაღი იხმარეს, ერთის აბაშიძის მოურავს ტყვია ჰკრეს გულში და იქვე უსულოდ დასცეს და მეორეს კიდევ ხანჯლით თავი ორად გაუპეს.

## სასამართლოს მატიანე.

(საქმე კნეინა ევგენია სოლომონის ასულის ჯორჯაძისა, რომელმაც განიზრახა მოკვლა თელავის მაზრის უფროსის თ. ნიკოლოზ ზაალის ძის ჩოლოყაშვილისა).

9 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილებამ დაიწყო საქმის გარჩევა ბრალდებულის კნ. ევგენია სოლომონის ასულის ჯორჯაძისა, რომელმაც განიზრახა მოკვლა თელავის მაზრის უფროსის თ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა.

თავმჯდომარეობდა ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ბ-ნი კარნოვიჩი, წევრებად იყვნენ თელავის მომრიგებელი-მოსამართლე ბ-ნი ვიტოვიჩი და იმისი თანაშემწე ბ-ნი ბოგუცკი. ბრალმდებლად იყო პროკურორის თანაშემწე ბ-ნი შმიტი. ბრალდებულს იცავდა ვექილი დოლგოლენკო.

მოწამე 35-ე იყო და გამოცხადდა მხოლოდ 23.

ბრალდებული ევგენია ჯორჯაძისა 28 წლისაა, ახოვანის ტანისა, სიმპატიურის სახისა და დინჯის გამომეტყველებისა. უჭირავს თავი ღირსეულად და მართებულად. სწავლა დაუმთავრებია თელავის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებელში. ამ საქმისთვის მიწვეულნი იყვნენ ექსპერტებად ექიმი ბახუტაშვილი, თელავის მაზრის ექიმი ზელენსკი და მაზრის ექიმად ნამყოფი ვოლოხოვი. მოვიდნენ მხოლოდ ორნი უკანასკნელნი. საზოგადოებით გაჭედილი იყო არა თუ დარბაზი სასამართლოსი, არამედ გარშემო მოაჯირები და ეზო. აქვე იყო მრავალი გლეხ-კაცობა, რომელიც შორი-ახლო სოფლებიდგან იყო მოსული მხოლოდ საქმის გასაგებად და უცდიდა მთელი ორი დღე. აქაურს საზოგადოებას ძლიერ საინტერესოდ მიაჩნდა და მიაჩნია ამ საქმის გარჩევა. საზოგადოებას გული შესტკივა კნ. ე. ჯორჯაძისათვის.

ბრალდებულის დაკითხვისა და მოწმების გამოხმობის შემდეგ ბრალმდებელმა ითხოვა: ჯარიმა გადახდეს გამოუცხადებლობისათვის ექსპერტად მოწვეულს დოქტორ ბახუტაშვილსაო. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და ათი მანეთი გადაუწყვიტეს ჯარიმა. პროკურორმა და ვექილმა ითხოვეს წაეკითხათ იმ მოწმეთა ჩვენება რომელნიც ვერ დაესწრნენ. სასამართლომ შეიწყნარა იმათი თხოვნა.

მოწმები დარბაზიდგან გაიყვანეს და თავმჯდომარემ დაიწყო კითხვა ბრალდების ოქმისა.

თავმჯდომარის განკარგულებით ექსპერტები დარჩნენ დარბაზში იმ მიზეზით, რომ, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, მიეცათ კითხვები მოწმებისათვის მათის აზრისა და დანიშნულების გამოსარკვევად.

საქმის გარემოება ბრალდების ოქმით შემდეგია.

23 მაისს 1885 წ., საღამოს 7-ს საათზე, თელავის მაზრის უფროსის თ. ნიკოლოზ ზაალის ძის ჩოლოყაშვილის სადგომში მივიდა ვიღაც უცნობი, გლეხურად ჩაცმული დედაკაცი, შამობურვილი შავის შალით. ტალანში დახვდა მოსამსახურე მიხეილ მელიქოვი, რომელსაც სთხოვა: მოეხსენებინა მაზრის უფროსისათვის, რომ მიეღო იგი. მელიქოვმა ჯერ უარი უთხრა, მაგრამ როდესაც ქალმა გაუმეორა თხოვნა: ფრიად საჭირო საქმე მაქვსო, მოსამსახურე წავიდა მოსახსენებლად. ამ დროს მაზრის უფროსი და მისი მდივანი მიხეილ შიუკაშვილი ისხდნენ კაბინეთში და არჩევდნენ ახლად მიღებულს ფოსტას.

მოსამსახურის მოხსენებისთანავე მაზრის უფროსმა სთხოვა შიუკაშვილს: გასულიყო და შეეტყო ვინ არის და რა უნდა.

სწორეთ იმ დროს, როდესაც შიუკაშვილი ემზადებოდა გამოსასვლელად, მოისმა ფეხის ხმა და შემდეგ გამოჩნდა მეორე ოთახში ვიღაც დედაკაცი რომელიც მიყრდნობილი იყო, კედელზე და იყურებოდა პირ-იქით. შიუკაშვილმა მიახლოვების დროს ჰკითხა: „რა გნებავთო“. ვერ მოასწრო ეს თქმა, რომ დედაკაცი მეორე ოთახში გავარდა, იქიდგან შევარდა ჩოლოყაშვილთან და შეუპოვრად დაახალა რევოლვერი.

შემდეგ უცნობი დედაკაცი წამში გამობრუნდა და გაიქცა გარეთ. შევეთომის შემდეგ დაიძახა ჩოლოყაშვილმა: დაიჭირეთ, არ გაუშვათო! გამოეკიდა მოსამსახურე, მელიქოვი დაიჭირა შუა ეზოში, წააქცია და დაუწყო ცემა.

ამ სურათს თავს წამოადგნენ შიუკაშვილი და ჩოლოყაშვილი. ამ დროს დედაკაცმა დაინახა ისინი და დაიყვირა: „მიხაკო, მიშველეო!“ შიუკაშვილმა მაშინვე იცნო, რომ ეს უცნობი დედაკაცი იყო კნეინა ევგენია სოლომონის ასული, მეუღლე მომრიგებელ-შუამავლისა, თ. დავით ჯორჯაძისა. და იმწამსვე წამოაყენა ტალახში ამოსვრილი კნეინა ჯორჯაძისა.

ჩოლოყაშვილმაც იცნო და უთხრა: „კნეინა, გენო თქვენა ბრძანდებით? ეს რა ჩაიდინეთ, აბა დაფიქრდით?“ «თქვენ დაღუპეთ ჩემი ქმარი და ოჯახი და მე სხვაფრივ არ შემეძლო მოვქცეულიყავიო, უპასუხა კნეინამ. ჩოლოყაშვილმა აიღო რევოლვერი და უთხრა შიუკაშვილს: წაიყვანეთ შინაო. შიუკაშვილმა წამოიყვანა შინ. გადმოდგა რამდენიმე ბიჯი თუ არა, კნეინა შეჩერდა და დაუძახა მაზრის უფროსს: „თავადო, შალი; შალიო! ჩოლოყაშვილმა აიღო შალი, რომელიც იქვე ტალანის წინ დავარდნილი. და მიაწოდა შიუკაშვილმა მიიყვანა თავის სადგომში და ჩააბარა თავის მეუღლეს — დარო შიუკაშვილისას და თითონ-კი უფროსთან დაბრუნდა. კნეინა ჯორჯაძისას დაჰბანეს პირი, ჩამოატანინეს შიუკოვის მოსამსახურე გოგოს საბედო კიკნაძისას კნეინა ჯორჯაძის ტანთ-საცმელი, გამოუცვალეს და აიყვანეს შინ. ამ საქმის გამო პასუხის-გებაში მისცეს კნეინა ევგენია ჯორჯაძისა, რომელმაც გამოძიებაშივე გამომძიებელს ანდრონიკაშვილსა და აგრეთვე პირველ გასამართლების დროსაც თავის თავი დამნაშავედ არ იცნო და გამოაცხადა რომ ჩოლოყაშვილს ევსროლე თუ არა რევოლვერი, არ მახსოვსო.

გამამტყუნებელი ოქმი თავდება ექსპერტების შემოწმებით, რომელიც მოჰხდა საოლქო სასამართლოს შეერთებულს სხდომაზე, 8 აპრილს 1887 წელს, რომლის ძალითაც ევგენია ჯორჯაძისა სასამართლომ იცნო არა ჰკუათა-მყოფელად დანაშაულობის ჩადენის დროს.

ბრალდების ოქმმა სცნო ნამდვილად ამბად, რომ კნეინა ჯორჯაძისამ ჩაიცვა გლეხური კაბა და გადასწყვიტა დანაშაული ჩაედინა, რომელიც შეასრულა ორი-სამის საათის განმავლობაში: აიღო რევოლვერი, ჩაიარა ბილიკები და შეუმჩნევლად შევიდა

---

თავისი მოვალეობა და როცა თვით საზოგადოებაც მიეჩვია, რომ მწერალი არ უნდა ჰღალატობდეს სიმართლესა და პატიოსნებას, მაშინ სრულებით უნდა გამოეთხოვოს კაცი იმედსა, რომ საპატიო რამ ადგილი დაიჭიროს მწერლობასა და საზოგადოებაში ქორით, ცილის წამებით და ლანძღვა-გინებით, მეტადრე თუ ეს ქორი, ცილი და ლანძღვა-თრევა მიმართულია იმათკენ, ვისაც თავიანთის მხნეობით, საკუთარის გარჯით მოუპოვებიათ სახელი რიგიანისა და მართებულის მოღვაწისა. ამისთანა მდაბალ ხელობით მწერალი თითონვე ითხრის სამარეს და იქნება როდისმე თითონვე ჰკრას ხელი თავისს თავსა და სამუდამოდ ჩაიღუპოს ამ სამარცხვინო სამარეში...

**

ეს საუბარი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დღეს, მართალია, თანაგრძნობა საზოგადოებისა ქართველ მწერლებისაკენ არის და დღითი-დღე კიდეცა მატულობს ცოტ-ცოტა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს მწერლებს სრულებით ასცდენოდეთ თავიდამ სხვა-და-სხვა მოულოდნელი და დაუმსახურებელი უსიამოვნება, რომლითაც მოფენილია ეკლიანი გზა ყოველის საზოგადო მოღვაწისა, არა თუ ჩვენში, არამედ დაწინაურებულს ქვეყნებშიაც-კი.

ამ უსიამოვნებას სათავე უძევს ქართველ მწერლების მტერ-მოყვარეთა მეცადინეობაში. მერე, ნეტა ვიცოდე, მკითხველო, გაქვთ რამ წარმოდგენა იმისა, თუ რა ადვილია ჩვენში მტერ-მოყვარის გაჩენა და შეძენა? ან იცით ნეტა, რომ ზოგჯერ ისეთს მტერს გაიჩენთ, რომელთანაც მარტო უბრალო გამოლაპარაკებაც-კი სათაკილოდ მიგაჩნიათ. საკმარისია, მაგალითად, ვისმე ტრაბახას უთხრათ, რომ ის ტრაბახაა და აშკარადაც ეტყობა ეს ტრაბახობა, ამასთანავე მეგობრულად გააფრთხილოთ, რომ მაგეთი ტრაბახობა არავის მოეწონება და ამიტომ მწერლობაში მაინც ნუ გამოაჩენს მაგ თვისებას, თორემ სახელს გაიტეხს და საქმეს-კი ვერას უშველის, — ჰო, საკმარისია ასეთი სიმართლე უთხრათ და ასეთი დარიგება მისცეთ, რომ ამ გვარი მწერალი მოსისხლე მტრად გადაგექცეთ, მოითხლიშოს პირი და სულ მუდამ თქვენს ძაგებასა და ძრახვაში გაატაროს თავისი უგემური და კარგ-უნახავი სიცოცხლე. საკმარისია არ იწამოთ რომლისამე გენიოსობა, რომ, ქვეყნის მტრად და მოღალატედ თუ არა, უსინიდისო და სულელ კაცად მაინც გამოგიყვანოთ თავის ნაცნობებსა, მეგობრებსა და უცნობთ შორის.

ამისთანა მაგალითებსაცა ჰქონიათ ადგილი ქართველ მწერლების ცხოვრებაში — ვთქვათ, სხედან ეს მწერლები და მოუთმენლად ელიან ახალ მოღვაწეებს, რომელნიც აღემატებოდნენ მათ მხნეობით, ხასიათის სიმტკიცით, აზრის სიღრმითა და ძლიერებით, რომ ამ ახლებმა შეუდგან ქედი მწერლობას, გამოაფხიზლონ საზოგადოება და ღონიერის ნაბიჯით გადაადგმევინონ ფეხი ჩვენს ქვეყანას წარმატებისკენ. აგერ ამ ლოდინში წააწყდნენ უცნობ კაცს, რომელსაც თითქო მართლა უფიქრნია ქვეყნის ავ-კარგიანობაზე და შეუდგენია თითქო ახალი აზრი მოქმედებისა. ქართველი მწერლები თავს დასტრიალებენ ამისთანა კაცსა და ესწრაფებიან მის ახლო გაცნობას, გამოკითხვას, ულოლიავებენ, ხელით ატარებენ, თავს დასტრიალებენ, სცდილობენ ყველაფერში აამონ, შეძლებისამებრ კიდეც დაუთმონ ცოტაოდენი რამ წერილმანები, ოღონდ უმთავრესი საგანი მისი აღემატებოდეს მათს აზრსა და მისწრაფებას. ბოლოს იქამდე გაბედნიერებულან ქართველი მწერლები, რომ ახალ კაცს დაწერილებით დაუწერია თავისი აზრი მოღვაწეობისა და აგერა კიდეც წარუდგენია მათთვის. პირველი სიტყვა ამ აღწერისა ყოფილა — თქვენ ცალ-ფულად არა ჰღირებულხართ და მე-კი ჩემი წონა ოქროს ფასი მაძევსო. მართალია, ძნელი მოსასმენია ასეთი სიტყვები, მაგრამ ქართველ მწერლებს იობის მოთმინება გამოუჩენიათ და არ განაწყენებულან — ჯანი და სული წაუვიდეს ყველაფერს, ოღონდ შენ-კი მართლა ოქროს მადანი გაჰხდე ჩვენის ქვეყნის აზროვნობისათვისაო. მაგრამ თითქმის ყოველთვის ამისთანა აღწერაში საწყენი უფრო ისა ყოფილა, რომ ღონე არ შესწევდენია ქადილს და ახალ კაცს გამოუჩენია სრული უვიცობა ჩვენის ქვეყნისა, აშკარა უვიცობა და უმეცრება იმისი, თუ რა არის კარგი და რას უნდა ერიდოს კაცი თუ საზოგადოება. ქართველ მწერლებს ჩვეულებრივის გულ-მართლობით უჩვენებიათ სუსტი ადგილები ახალის მწერლისა, დაუსახელებიათ იმისი ბავშვური შეცდომანი და გარემოების შესაფერი დარიგებაც მიუციათ. ახალი კაცი უკმაყოფილოდ დაჰშორებია ჩვენს მწერლებს, რადგან წინასწარმეტყველად არავის უცვნია იგი ქვეყნისთვის, წასულა, გამოუყენებია შენიშვნაცა და დარიგებაც ჩვენის მწერლებისა, გადაუკეთებია თავისი ნაწერი, წაუღია კირაკუზასა, მარტირიუზასა თუ ნიზის ბანაკში და უთქვამს — აი როგორი სიმართლე დავუწერე ქართველებს და კინაღამ ჯვარს არ მაცვეს მართლისთვისაო - ქართველები სწორეთ მტარვალები არიან, შემწყვდეულან ვიწრო წრეში და აღარ იტარებენ სპეტაკ შუქს აზრისა და გრძნობისასაო. რასაკვირველია, მოწინააღმდეგე ბანაკი აღტაცებულია, რომ ასეთი საყვედური გაისმის ქართველებზე და გულითა სჯერა ყოველივე სისულელე, რომელსაც-კი მოაჭორებენ ამ გულ-მართალს ხალხზე.

**

კაცი, რომელიც თავის ქვეყანაში წინასწარმეტყველებას იჩემებს და რიგიანობაზე სდებს თავსა, არ უნდა კადრულობდეს ამისთანა უკბილო საშუალებას, პირველი იმიტომ - რომ ეს თავისის თავის დამცირებაა და მეორეც

მაზრის უფროსის სადგომში. ბოროტების ჩადენის შემდეგ კნეინას არ გამოუჩენია არავითარი ზნეობითი შენანება და აქედგან სჩანს, რომ ეგ დანაშაულობა ჩადენილია სრულის ჭკუათა-მყოფელობის დროსაო. ამიტომ ითხოვა კნეინა ევგენ ჯორჯაძისა დაისაჯოს კანონის მე-1445 მუხლის ძალით. თავმჯდომარე ეუბნება ბრალდებულს: მოიგონეთ, 1885 წ. 23 მაისს თქვენ მიხვედით მაზრის უფროს თ. ნ. ჩოლოყაშვილთან და ესროლეთ რევოლვერი, გინდოდათ მისი მოკვლა, რადგანაც თქვენის აზრით ის იყო დამღუპველი თქვენის ქმრის და ოჯახისა? სცნობთ ამაში თქვენს თავს დამნაშავეთ თუ არა?

ბრალდებული ევგენია ჯორჯაძისა: — არა.

თ. ნ. ჩოლოყაშვილს ჰკითხეს უფიცრად.

თავმჯდომარე. რას იტყვით, თავადო ჩოლოყაშვილო!

თ. ჩოლაყაშვილი. 23 მაისს 1885 წ. საღამოს 7 საათზე, მე და ჩემი მდივანი მ. შიუკაშვილი ჩემს კაბინეთში ვარჩევდით ახლად მიღებულ ფოსტას. შემოვიდა ჩემი მოსამსახურე მიხეილ მელიქოვი და მითხრა: ვიღაც სოფლის დედაკაცია და თქვენი ნახვა უნდაო. ამ თქმაზე მოგვესმა გაჩქარებული ფეხის ხმა... მე გავგზავნე მდივანი შიუკაშვილი, რომ გაეგო, ვინ იყო. გავიდა თუ არა კარებში შიუკაშვილი, უცებ შევიდა დარბაზში ვიღაც მაღალი აჩრდილი და გამოიარა რამდენიმე ოთახი. ჩემს დალაპარაკებაზე უცებ შემოტრიალდა დარბაზიდგან, კაბინეთში მოვიდა პირდაპირ ჩემკენ. მე მინდოდა სავარძლიდგან ადგომა, წამოვიწიე კიდეც, მაგრამ ველარ მოვასწარი. ორის ნაბიჯის სიშორეზე უცებ გამოიღო შალში ხვეული რევოლვერი გადამახალა მსწრაფლად, მოიგლიჯა შალი და გაირბინა გარეთ. მე გამოვარდი და ვნახე, რომ ბიჭს წაექცია ეზოში და მხოლოდ მაშინ ვიცანი, რომ იგი იყო ევგენი ჯორჯაძისა. როცა დაიძახა: „მიხაკო, მიშველეო!" მე ვუთხარი: რა ჩაიდინე ეს გენო—რას მერჩოდი-მეთქი. მან მიპასუხა: შენ დაღუპე ჩემი ქმარი—თუ ჩვენი ოჯახიო—კარგად არ მახსოვს.

პროკურორი. თქვენ მანამდინ ვერ იცანით, რომ იგი ევგენია ჯორჯაძისა იყო?

ჩოლოყაშვილი. ვერა. ის იყო გლეხის დედაკაცის კაბაში და სრულებით შეხვეული შალში. მე მეგონა ან ფრიად საჭირო საქმე აქვს, ან ვიღაც ჩემი ნათესავია და სახუმაროდ მოროთულა-მეთქი.

პროკურორი. რამდენი ოთახი უნდა გამოევლო თქვენს კაბინეთამდე?

ჩოლოყაშვილი. დერეფანი, ბუფეტი, სასადილო ოთახი და დარბაზი. თუ გნებავთ, დაგიხატავთ (ჰხატავს). მე ვნახე ეზოში, რომ ჩემი მოსამსახურე სცემდა, რევოლვერი გადაგდებული იყო, მე ავიღე და მაშინ დაიყვირა „მიშველე, მიხაკოვო".

პროკურორი. რა მტრობა ჰქონდა თქვენთან, ან როგორ ქალად იცნობდით კნ. ევგენია ჯორჯაძისას?

ჩოლოყაშვილი. მე ვიცნობდი როგორც კარგს ქალს. ჩემთან მტრობა არა ჰქონდა-რა. თ. დ. ჯორჯაძეს (ქმარს ბრალდებულისას) შესწამეს 6 ყალბის ქაღალდის ფულის გასაღება და ამ ამბის გავრცელებაში, როგორც თითონა ჰფიქრობს, მე არა მაქვს ბრალი. დამნაშავე თითონვე არის და თუ მიბოძებთ ნებას, მოგახსენებთ.

1884 წელს, არ მახსოვს რომელი თთვე იყო, შემოვიდა ჩემთან თ. დავით ჯორჯაძე. ჩვენ ვიყავით ერთმანეთში ძლიერ დაახლოვებულნი და მითხრა: არ იცი შენ, რომ ჩემი მოსამსახურე დათიკო კოჭლამაზაშვილი ასაღებს ყალბს ფულსო? ათ-თუმნიანი აფთიაქში მიეტანა, რომელიც ყალბი გამომდგარა და ერთი 25 მან. გასპარებისათვისაო. მე, როგორც პოლიციელმა, მივიღე ზომა, რომ საქმე გამომეძია. ვკითხე აფთიაქარს და მან მითხრა: მართალია, მოიტანა ჩემთან და მე მივეცი კნ. მაყაშვილისასაო.

კნ. მაყაშვილისამ ატარა და ვერსად დაახურდავა. მერე შეხვდა დ. ჯორჯაძეს და უთხრა: ამ ყალბის ფულისათვის თქვენ მიგებთ პასუხს კანონისა და ხალხის წინაშეო. 25 მანეთიანს დ. ახვერდიშვილი ატარებდა და არავინ დაუხურდავა.

ერთხელ გამომძიებელი მელიქ-ნუბაროვი მოვიდა ყვარელში, სადაც მრავალი საზოგადოება იყო თავ-მოყრილი. ნუბაროვს ხმა მაღლა დაეძახა: მე ვაყურებინებ სეირს დავით ჯორჯაძეს; მე ვიცი, რომ იმას ყალბი ფულები აქვსო. მე არ შემეძლო გამომეძია და იძულებული ვიყავი გადამეცა გამომძიებელ მელიქ-ნუბაროვისათვის.

თავმჯდომარე. თქვენ პროკურორის კითხვაზე სთქვით, თვით დავით ჯორჯაძემ გაავრცელაო.

პროკურორი. ეგ საქმე ყალბის ფულებისა მოსპობილია, თუ იცით?

ჩოლოყაშვილი. დიაღ, მგონი, მოსპობილი უნდა იყოს.

პროკურორი. იცოდა ვინმემ, რომ თქვენ გაბრალებდათ იმ ყალბს ფულებზე ატეხილს ყველა დავიდარაბას?

ჩოლოყაშვილი. ბევრმა, თითქმის მთელმა საზოგადოებამ.

პროკურორი. თქვენა სთქვით, კარგად ვიცნობდიო. თუ იცით, თ. დ. ჯორჯაძე ღარიბი კაცი ხომ არ იყო?

ჩოლოყ. თავის დღეში. დ. ჯორჯაძე შეძლებით ძლიერ დათავდარიგებული კაცი იყო, ასე რომ მთელს მაზრაში ვერავინა სჯობდა ნივთიერად და ეხლაც სრულებით დათავდარიგებულია.

თავმჯდომარე. თქვენ მარჯვენა მხარში დაგკრათ? ან რამ სიშორეზე იყო სროლის დროს?

ჩოლოყაშვილი. იქნებოდა ნაბიჯ-ნახევარ თუ ორ ნაბიჯის მოშორებით, როცა რევოლვერი დამცა მარჯვენა მხარში და დამკრა. მე ვიჯექი სავარძელში, მინდოდა ამდგარიყავი, მაგრამ ველარ მოვასწარი და მხოლოდ ოდნავ წამოვიწიე. ტყვია მოხვდა პაგონში, პაგონი და სერთუკი გასჭრა, ხორცთან მივიდა და გადმოვარდა. ხორცი ოდნავ გამკაწრა. მე არცკი შემიტყვია ჭრილობა, სანამ სხვებმა არ შემამჩნიეს და არ მითხრეს: დაჭრილი ხარო. ამინდი წვიმიანი იყო.

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

გერმანია. გერმანია აღარ ისვენებს, მისი მთავრობა გამუდმებით ითხოვს ფულს. ითხოვს ფულს პარლამენტისაგან სულ შეთოფ-იარაღებისათვის, სამხედრო ძალთა გაძლიერებისათვის. აი ახლა კიდევ, ამ მარტის დამდეგსაც მთავრობას წარუდგენია პროექტი, $12\frac{1}{2}$ მილიონი ვისესხოთ, რადგან სხვა-და-სხვა სამხედრო ხარჯს გასტუმრება უნდაო. უფრო ბევრი ფული მოუნდა არტილერიის მოწყობასა ახალის წესითაო. ამ დღეს კრებაზე თითქმის ყველა დასების მეთაურებმა ილაპარაკეს, სხვათა შორის: რიხტერმა, ბებელმა, ვინდგორსტმა და სხვათა. ჯერ პირველად დაიწყო ლაპარაკი ბენიგსენმა, მაგრამ თვით პროექტის საწინააღმდეგო არა უთქვამსრა. მხოლოდ ისა სთქვა, რომ კომისიას გადავცეთ ეგ პროექტი განსახილველადაო. შემდეგ ევგენი რიხტერმა დაიწყო ლაპარაკი: „ბ-ნმა ბენიგსენმაო, სთქვა ორატორმა: საჭიროდ დაინახა შეხებოდა მხოლოდ იმ საგანს, თუ რა გზით უფრო ადვილი იქნება საჭირო ფულის შოვნა. ბენიგსენმა სთქვა, რომ ფულს-კი ნუ ვისესხებთ, გავაწეროთ ცალკ-ცალკე სახელმწიფოებს გერმანიისასაო. მე-კი სულ სხვაფრივ ვფიქრობ. მე მგონია სალაპარაკო აქ აი რა არის: საზოგადოდ საჭიროა, თუ არა ნება ვაძლიოთ მთავრობას ჰხარჯოს ის ფული, რასაც მოგვთხოვს ხოლმე? სულ ეხლა-ხან მივეცით ნება იმოდენა ფულის დახარჯვისა და გვეგონა, რომ ეს არის-მოვრჩით, ახალს ხარჯს აღარას გასწევენო. ის-კი არა თუ აგერ ახლა კიდევ სულ ახალის სამხედრო სექმეებისათვისა გვთხოვენ ფულსა. ამ საგანს ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ და კარგად გავსჩხრიკოთ კრიტიკულად. მით უმეტეს საჭიროა ამ შემთხვევაში კრიტიკა და სიფრთხილე, რომ თვით მცოდნე კაცნი სამხედრო საქმეებისა გადაწყვეტით არ ამბობენ, საჭიროა თუ არა მართლა არტილერიის მოწყობა ახალის წესით. მერე რიხტერმა სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი. მთავრობა თხოულობს, რომ ახალი ხარჯი გაიღეთ ზღვათა სამინისტროს გამგებლის ჯამაგირისთვისაო. ეხლა ამ გამგებლის თანამდებობას ასრულებს გენერალ-ადმირალი. ახლა-კი უნდათ, რომ ეს თანამდებობა ორად გაიყოს. უნდათ იმიტომ, რომ იმპერატორს ჰსურს თავისს ძმას ჰენრიხს ჩააბაროს თანამდებობა ზღვათა სამინისტროს გამგებლისა. ადმირალ სტოშის აზრი-კი ამ საგანზე ის არის, რომ ამ ახალის წესის შემოღება არ ივარგებს, ავნებს გერმანიის ფლოტსაო. ამიტომ მე ვსთხოვ რეიხსტაგს, კრძოსა და პირადის ანგარიშით ბოლოს დასანანებელს საქმეს ნუ გაჰბედავს. რიხტერს შემდეგ სოციალ-დემოკრატების მეთაურმა ბებელმა ილაპარაკა: თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი თხოვნა მთავრობისა, კიდევ მილიონები და მილიონები მოგვეცით ჯარის მოსამატებლად, შეწყნარებული იქმნება, მაგრამ მე მაინც ჩემს მოვალეობადაო ვრაცხ წინააღმდეგობა გავუწიო ამ ახალს ნაყოფს შეთოფ იარაღების გაძლიერების სურვილისას, გაუმაძღარის მილიტარიზმისას. მე არა მგონია რომ გერმანიისათვის საჭირო იყოს, იმდენი ჯარი იყოლიოს მარტომ, რამდენიც საფრანგეთსა და რუსეთსა ჰყავს ერთად. ასე იმიტომა მგონია, რომ, თუ მართლა თავს დაგვესხმიან, ხომ დარწმუნებული ვართ, ავსტრია და იტალია ჩვენსკენ იქნება. ერთად-ერთი აზრი მანუგეშებს მხოლოდ: მე მგონია, რომ ის ომი, რომელსაც ველით, უკანასკნელი იქმნება ევროპაში: როცა 15 მილიონი ჯარის-კაცი, კარგად შეიარაღებული, დაეცემა ერთმანეთს, მთელს ევროპაში ისეთი საზარელი კვნესა და ტირილი დადგება დედათა, ცოლთა და დათა, რომ ყველანი გონს მოვლენ და იტყვიან: „რაზედ ვიბრძვით და რად ვჟლეტავთ ხალხსაო?" სამხედრო მინისტრმა სიტყვა გააწყვეტინა ბებელს და უთხრა: „კიდეც იმიტომ ვუმატებთ სამხედრო ძალას, იმიტომ ვისხამთ იარაღს, რომ რაც შეიძლება დიდის ხნით გადიდოს ეგ საზარელი ქამიო. ჩვენებური ან-

---

იმიტომ, რომ ამისთანა მალაყებით ფონს ჯერ არავინ გასულა მწერლობაში და ვერც ამას იქით გავა ვინმე. მაგრამ რას უზამთ სულ-მოკლეობას და დაუშრეტელს წყურვილს, რომ სხვას მაინც პირველ კაცად აჩვენო თავი.

ეგ კიდევ არაფერია შედარებით იმ მალაყებთან, რომელსაც ასეთის სითამამით გადადიან თქვენს თვალ-წინ იმისთანა „მწერლები", რომელთაც მარტო ანბანი უსწავლიათ და უსწავლიათ თავიანთ საუბედუროთვე. აქაო-და ანს გავარჩევ ბანისაგანაო დონს არ ავრევ ლასთანაო, ამ გვარი უბადრუკი სწავლულები გამოდიან და საქვეყნოთ გაიძახიან: ჩვენისთანა გოგრა ჯერ არ დაბადებულა დედამიწის ზურგზედა და ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გვეპატიებოდესო: ქურდობაც, ავაზაკობაც, ტყუილიც, მიქარვაც, უნამუსობაც და ბევრი კიდევ სხვა თვისება, რადგან ყოველსავე ამ ბიწიერებას ჰფარავს სიღრმე და სიდიდე ჩვენის გოგრისაო. ამიტომ, განზე კვდლებო, ჩამოგვეცალენით, დაანებეთ თავი ქვეყნის სამსახურს, იმიტომ-რომ სათავეში ჩვენისთანა ბრძენი ხალხი უნდა ედგეს ქვეყანას, რადგან ჩვენი გონების თვალი დაჰყურებს მთლად ოთხმოც-დაათის გრადუსიდამო, და არა თქვენიოსთანანიო, რომელთა გონების თვალი არ აღემატება ცამეტს გრადუსსაო.

ძალიან კარგი და პატიოსანი! ვთქვათ, რომ მართლაც სულ გოგრებად არიან გადაქცეულნი ასეთი ვაჟბატონები. ნუ თუ ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ვაპატიოთ მათ ქურდობა, ავაზაკობა, მიქარვა, უნამუსობა და სხვა ამისთანა თავ-ლაფიანობა. საკვირველია, თქვენმა მზემ, ვაპატიებთ ვისმეს რასმე, თუ არ ვაპატიებთ, ეგ ხომ სრულებით ჩვენს ხელთ არის და აქ მოძალეობა არავისა და არაფერს არ შეუძლიან. ჩვენ ისეთის შეხედულობისანი გახლავართ, რომ ზნეობითს სისაძაგლეს ვერავის ვაპატიებთ, გინდაც სულ ჭკუადა და ცოდნად იყოს ნაქცევი ჩვენი თუ სხვათა კაცი. თუ ჭკუასთან არ მიგიძღვის წინ სიფაქიზე და უმანკოება გულისა, შეუგინებელი ნამუსი, ცარიელის გოგროსთვის ჩვენ პატივს ვერა გცემთ, გინდაც რომ ჭიჭინით „ზაჭლა" წაიღოთ, ოჭანეზას თქმისა არ იყოს. მაგრამ როდესაც ზნეობრივ სიმახინჯესთან ღმერთს თქვენთვის მხრებზე დაუდგავს მაგიერად თავისა მართლა ცარიელი გოგრა, მაშინ თქვენი საქმე სრულებით ხელიდამ წასულია.

შორს არ წავალ და მოგაგონებთ, რა ლექსებით გვიხსენიებდა ამ დღეებში ერთი საკვირველი «მწერალი». თქვენაო მტკნარი სულელები ხართო, თორემ ერთი ბეწო ჭკუა რომ მოეცა თქვენთვის ღმერთს, ორის ხელით უნდა გეთხოვნათ ჩემთვის და თქვენს გვერდითა ყოლოდით ჭირში და ლხინში, წერასა და მოღვაწეობაშიო. თქვენ ეს არ ჩაიდინეთ, რადგან არ იცით ყადრი ნიჭისაო. მაგრამ იმდენად როგორ შემოსწყერით ჭკუას, რომ არ გესახელებათ ჩემი თავი, როდესაც მე ასეთი ადგილი დავიჭირე რუსულ მწერლობაშიო.

მკითხველი კარგად მიჰხვდება, ვინც იტყოდა ამისთანა სიტყვებს და ამიტომ ნურას უკაცრავად, რომ მე არ ვასახელებ ამ „მწერალს". ან-კი რა საჭიროა დასახელება! ჩვენ იმიტომკი არ მოგვყავს ეს სიტყვები, რომ კამათობა გავუწიოთ. აბა ამისთანა მწერალს ვინ გამოეკამათება. მე მხოლოდ იმიტომ მოვიყვანე ეს უცნაური ადგილი, რომ მეჩვენებინა ღირსება იმ სულ დგმულებისა, რომელთაც გამოუგდიათ ადლ-ნახევარი ენა და სულ დორბლები გადმოსდით პირიდამ მარტო იმიტომ, რომ ჩვენ სამართლიანად ვერიდებით მათთან ერთად უღლის წევას. მართლაც, აბა ერთი ვინ იტყვის თავის თავზე, რომ ჩემით უნდა გესახელებოდეთ თავიო, უნდა პატივსა მცემდეთ, რაკი მე ადგილი დავიჭირე რუსულს მწერლობაშიო,—ვინ იტყვის ამას, გინდაც რომ მართლა საპატიო ადგილი დაეჭირნა! თუ ეს ადგილი საპატიოა, ხომ უთქმელადაც პატივსა სცემს ყოველი ჭკვათა მყოფელი ქართველი, და მაშ აქ თქმა რაღა საჭიროა. ვსთქვათ, ამ მწერალს იმდენი უნარი გამოეჩინა, რომ შეეტყობინებინა ჩვენის სამშობლოს დარდი და ბოლმა ქვეყნისთვის და ეწერა ისეთს პატიოსანს ორგანებში, როგორიც არის „Вѣстникъ Европы", ან „Русскія Вѣдомости". თუ არა, ამდგარა ეს დალოცვილი და, შჩედრინის თქმისა არ იყოს, გაზეთის მაგივრად, უკაცრაული პასუხია, „Тифлисскій Листокъ"-ში გაუკეთებია ბინა.

მოდით თქვენა და თავი მოიწონეთ!.. მეტადრე იმითი მოიწონეთ თავი, რომ საქვეყნოდ განზრახ არიდებს თვალს მართალსა და სტყუის შესახებ იმ უცნაურის წერილისა, რომელიც შეეხებოდა ბ-ნ სუნდუკიანცს რომელიც ასე უსამართლოდა ჰკილავდა ჩვენს ხალხს და რომელიც ჩვენ ამოვბეჭდეთ „ივერიაში". ტყუილი რაღა ღვთის წყრომა იყო!.. და ამის შემდეგ კიდევ გაიძახიან, რომ არა იცითრა, თორემ თავი უნდა მოგწონდეთ ჩვენითაო.

იქნება უცოდინარობით მოგვდის, რომ მაგით თავს-კი ვერ ვიწონებთ, პირ-იქით, ვწითლდებით და ვიწვით სირცხვილით, მაგრამ ის-კი აშკარაა, რომ ბაზაზხანაში დიდს სახელს გაიკეთებენ ამისთანა რაინდები და თავსაც მოაწონებენ ვანუას, ბ-ნ ჩიმიშკიანცს და სხვებს.

ასეთი და კიდევ მრავალი სხვა გვარი მტერ-მოყვარენი არგუნა ბედმა ჩვენს მწერლებს და ეს გარემოება, რასაკვირველია, ბევრში აფერხებს ქართულ მწერლობის წინ-სვლასა და წარმატებას, მაგრამ რა გაეწყობა—

არ იცით, კარდი უკლოდ
არავის მოუკრებია!?.

სანო

დაზა ამბობს: გინდ სუსტი და ულონო ყოფილხარ, გინდ სახელ-გატეხილიო“. ამაზე ბებელმა უპასუხა სამხედრო მინისტრს: „ცხადია, რომ ჩვენ ის არ გვინდა, სუსტი და ულონო იყოს გერმანია. მე მარტო გერმანიაზე-კი არ ვლაპარაკობდი, საზოგადოდ მთელს ევროპაზედ ვამბობდი. ერთი რამ-კი უნდა ვსთქვა განმეორებით: დღევანდელი ყოფა სულ იმისი ბრალია, რომ ელზას-ლოტარინგია შემოვიერთეთ. ამისი წინააღმდეგი იყო და დღესაც არის ჩემი დასი. ამას გარდა ნაყოფია აგრეთვე სოციალურ უსწორ-მასწორობისა და ქირ-ბოროტისა. უნდა გატეხილი ვსთქვათ, რომ ყველა მთავრობანი სცდილობენ აიცილონ თავიდამ საშინელება დიდის ომისა, მაგრამ ეგ ომი-კი მაინც აუცილებელია და ადრე თუ გვიან, თავს დაგვიკრავს“. ორიოდე სიტყვა სთქვა ბოლოს ვინდგორსტმა: არ უნდა გაიბეგროთ მეტად ხალხი, თუ დიდი გაჭირება არ არისო. პროექტი მთავრობისა გადაეცა განსახილველად საბიუჯეტო კომისიას.

## წვრილი ამბები

მთელის ქვეყნის პირზედ ამ ჟამად სულ 3,064 ენაა და ათასამდე სხვა-და-სხვა სარწმუნოება. მამაკაცთა რიცხვი დაახლოვებით დედაკაცთა რიცხვს უდრის. მცხოვრებნი ორთა შუა რიცხვით 33 წლამდე სცოცხლობენ. ადამიანთა მეოთხე ნაწილი 17 წლამდე ვერ მიაღწევს ხოლმე, ისე ესალმება ამ წუთი-სოფელს. 1,000-ში მხოლოდ ერთი სცოცხლობს 100 წლამდე და ექვსი 65-მდე. სულ ადამიანიშვილი მილიარდზე მეტია. ამათში ყოველ წელიწადს 35.214,200 ადამიანი კვდება, ყოველ დღე—96,480, ყოველ საათს—4,020, ყოველ წუთს—67 და თითო წამში თითო კაცი. ყოველ წელიწადს იბადება 36.792,000 ადამიანი, ყოველ დღე 100,800, ყოველს საათს 4,200, ყოველ წუთს—70. ცოლიანები უფრო დიდხანსა სცოცხლობენ უცოლოებზედ; მშვიდნი და ზომიერის ცხოვრების მოყვარულნი უფრო მეტს, ვიდრე ხელ-გაშლილნი, წესს გადასულ ცხოვრების მოტრფიალენი და ზარმაცნი. განათლებულნი უფრო ხანგრძლივ სცოცხლობენ გაუნათლებლებზედ. 1,000 კაცში მხოლოდ 75-ია ცოლიანი. გაზაფხულს დაბადებულნი უფრო ჯან-საღნი არიან სხვა დროს დაბადებულებზედ. ადამიანნი კვდებიან და იბადებიან უფრო ღამე, ვიდრე დღე. მსოფლიო სტატისტიკა იმ აზრისაა, რომ მამაკაცთა მხოლოდ მეოთხე ნაწილს შეუძლიან იარაღის ხმარება და მხოლოდ მეოთხედი გამოდგება სამხედრო სამსახურისათვისაო.

— ტოკიოში გადამწვარა უნივერსიტეტი. ცეცხლის გაჩენა მხოლოდ მაშინ შეუტყვიათ, როცა კიბე ალში ყოფილა შეხვეული. სტუდენტები ფანჯრიდგან გადმომხტარან და ზოგიერთნი დაშავებულან კიდეც. სამი სრულიად დამწვარა.

— ბერლინის ფოსტა უცხადებს საზოგადოებას, რომ ბისმარკის სახელზედ წერილებს აღარ მივიღებთ, თუ კონვერტზედ გამომგზავნელის გვარი და სახელი არ იქნება აღნიშნულიო.

— ცხოვრებით უმადურნი ავსტრიავენგრიაში ახალს ღონესა ჰპოულობენ თავის მოკვლისას. ამას წინად ვიღაც ოფიცერს მანგეზიუსს დაუმახნია ჯარისკაცი და უბრძანებია, რომ თოფი გატენე და პირდაპირ მესროლეო. ჯარისკაცს უფროსის ბრძანებაზედ უარი ვერ გაუბედნია, უსროლია, გულში მოურტყამს და იქვე სული გაუნთხევინებია.

— ლონდონში ამას წინად პასტორს ბაქსტერს საჯარო ლექცია წაუკითხავს და ამ ლექციაში მოუყვანია წინასწარმეტყველებანი დაბადებისა. პასტორმა სთქვა თურმე, რომ 1890 და 1891 წ. მთელის დედამიწის ზურგი საშინლად შეიცვლება პოლიტიკის მხრით, 23 სამეფო 10-ად გარდაიქმნება, დაარსდება ახალი რომის იმპერია, რომლის მბრძანებელიც ნაპოლეონისებური ანტიქრისტე იქნება. 1896 წლის ხუთს მარტს, 1 საათს რომ 20 წუთი აკლდება, 144 ლონდონელი ქრისტიანე ცისაკენ გაემგზავრება, ე. ი. ანგელოზსავით მაღლა აფრინდებიანო. თუ მკითხველებიც დაგვეთანხმებიან, ვგონებ ლონდონში სადგიუჟეთებს კარგი დარაჯები არ უნდა ჰყავდეთ...

— ბრიუსელში გარდაიცვალა ერთი ამერიკელი და თავისი ნახევარ მილიონი ქონება ერთს უცნობს ყმაწვილს ქალს დაუტოვა. აი ასეთის ახირებულის საქციელის მიზეზი: ეს ამერიკელი, როგორც სხვანიც, თავისებურის, განსაკუთრებულის ზნისა და ხასიათის კაცი იყო თურმე და უმთავრესი საზრუნავი ისა ჰქონდა, რომ პატიოსანის კაცის პოვნა ძალიან ძნელია და ვეცდები, იქნება მივაგნო სადმეო. ამ ჩვენის დროის დიოგენმა შემდეგი საშუალება იხმარა თურმე თავისის სურვილის მისაღწევად: ყოველ დღე ჯდებოდა ეტლში მეეტლეს გვერდით, ხურდას მეეტლეს თითონ აძლევდა და ამ გადაცემის დროს განგებ წაუმატებდა რამდენსამე გროშს. ორი წელიწადი სჩადიოდა ასე და ერთი ადამიანი არ ახსოვს, რომ მეტი ფული უკანვე დაებრუნებინა, თუმცა-კი სთვლიდნენ თურმე და ჯიბეში უკრავდნენ თავს: არ ებრალებოდათ საწყალი მეეტლე, რომელიც გროშობით იგებდა ფულს, და იმისაგანაც-კი გამორჩენას მოელოდნენ. მხოლოდ ერთხელ ერთმა ყმაწვილმა ქალმა დაუბრუნა თურმე უკანვე მეეტლეს მეტი ფული და ასეთი პატიოსნება და ხელ-მართლობა ქალისა ისე მოეწონა ამერიკელს, რომ დაედევნა, შეიტყო იმისი ვინაობა და თავისი ქონება იმას უანდერძა. აბა რას წარმოიდგენდა ყმაწვილი ქალი, რომ ამ ხუთ შაურ მეტის ხურდის დაბრუნებით ნახევარს მილიონს ქონებას შეიძენდა.

## დეპეშა

13 მარტი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა წინასწარი ცნობანი სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა 1888 წლისა. შემოსავალი ხარჯთ-აღრიცხვით დანიშნული იყო 862,301,225 მან. ხოლო ნამდვილ შემოვიდა 916,079,000 მან. გასავალი დანიშნული იყო 888,082,110 მან. ხოლო დაიხარჯა ნამდვილად, როგორც ანგარიშებიდამ სჩანს, 874,530,000 მან.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მარტი

| | მსყიდველ. ფასი. | გამყიდველ. ფასი. | გაყიდულ. ფასი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 43 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 273¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 98 „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98 „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83 „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | › |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### პიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

საზოგადო წასასმელი ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის პირზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოვთან ოდესას




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—17)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | ,, | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავახიშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | ,, | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 13-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи).. на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე